ორშაბათი, 2 სექტემბერი

# სოციალისტ-ფედერალისტი

დასაბეჭდი მასალები მიიღება „სოციალისტ-ფედერალისტის“ რედაქციაში, ყოველ-დღე, დილის 10 ს.—2-მდე და საღ. 6—8-მდე. ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები. ფოსტის მისამართი წერილებისა და ფულისათვის: ტფილისი ლორის-მელიქოვის ქ. № 1. „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს რედაქცია.

ფასი ტფილისში და ტფილის გარეთ შვიდი შაური რკინის გზის სადგურებზე 9 შაური.

ფასი 35 კ.

№ 9 ტფილისის სოციალ-ფედერალისტ მუშათა კავშირის გაზეთი № 9

## სექტემბრის 15-სთვის მოწვეულია ტფილისში სოც.-ფედერალისტთა პარტიის კონფერენცია.

განსახილველი საკითხები: 1) თანამედროვე მდგომარეობა და ჩვენი მოქმედება. 2) მიწის საკითხი. 3) მოხსენებები სხვა და სხვა ადგილებიდან. 50 კაცი ირჩევს 1 წარმომადგენელს. სადაც ნაკლები აღმოჩნდება, იქ 100 ერთს. პატარა ჯგუფებს შეუძლიანთ შეერთება.

ივლისის 8-დან გამოდის ტფილისის სოციალისტ-ფედერალისტ მუშათა კავშირის საორშაბათო გაზეთი

„სოციალისტ-ფედერალისტი“

რომლის მიზანიც არის: მდაბიო და სადა ენით აუხსნას საქართველოს მშრომელ ხალხს დღევანდელი მდგომარეობა, შეაგნებინოს მათში კლასიური შეგნება და ხელი შეუწყოს მათ დარაზმვას სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის დროშის ქვეშ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლად.

პროვინციელ ამხანაგებს ვთხოვთ გამოგზავნონ წერილები სოფლის და პროვინციების ცხოვრების შესახებ, შემდეგი მისამართით ტფილისი ლორის მელიქოვის ქ. № 1. (ძველი სემინარია) „სოციალისტ-ფედერალისტის რედაქციას“.

### ორშაბათი 2 სექტემბერი

**ჩვენი კონფერენცია.**

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ძირიანად შესცვალა ყოველი რუსეთის სახელმწიფოს მძაფრი ცხოვრება. ზღაპრული სიჩქარით დაინგრა არა მხოლოდ შავი ძალები, რომელზედაც ძველი რუსეთის შავი ხელი, რაღაც სამის ასიებს სწირდა უსახურ მოქალაქესათვის, არამედ დაიშალა თვით საძირკველიც. როგორც სათამაშო ქაღალდის ხუხულა, ისე დაემხო ძველი წყობილება, რომელიც ჰმართავდა ათას სახრჩობელას, გულიდან გვტაცებდა ჩვენს საუკეთესო ამხანაგებს, პირქუშ კატორღაში და ყრუ ციხეებში ჰკლავდა ჩვენს მისწრაფებათა მოციქულებს, და მძიმე ქუსლით სრესდა მცირე ერების არსებობას. დაემხო და დაილუპა თვით ნება ძველი რუსეთი, გაიხრწნა და დაიშალა, როგორც დამპალი ქოხის რამ ჰრკე.

ჩვენი ოცნებანი, ჩვენი ზრახვები ახდნენ. ხალხმა გაიმარჯვა. ეს ხალხის გამარჯვება, თუმც გვიან, მაგრამ მაინც ბოლოს ერებზედაც გადავიდა, და დღეს, ჩვენ, საქართველოს განთავისუფლებას, საქართველოს დამოუკიდებლობას ვდღესასწაულობთ რუსეთის რევოლიუციის უკანასკნელი საფეხური ეს იყო აქ გათავდა რუსეთის რევოლიუცია ჩვენთვის, აქ დაიწყო საქართველოს საკუთარი რევოლიუცია, საკუთარი შემოქმედება. დიდი ხნით დაკეცილი საქართველოს ისტორიის წიგნი გადიშალა, და მძიმე ხმალი, რომელიც ამ ას ჩვიდმეტ წლის წინად ბაგრატიონებს ხელიდან გაუვარდათ, ის ხმალი დღეს ჩვენ ავიღეთ, მოვიმარჯვეთ. ჩვენ, ვისი სახელიც მშრომელი ხალხია.

ისტორიის ველზე დღეს ჩვენ დამოუკიდებლად ვართ გამოსული, და დიდ-ხნით მოლოდინებული ჩვენი კუნთები, უჩვევ მუშაობით იქემებიან.

დღეს საქართველოს გამოცდაა. დღეს ჩვენი ეროვნული სისაღის და შნოიანობის შემოწმებაა. დღეს საქართველოს განკითხვის დღეა.

თუ შევსძელით — საქართველოს ბედის მერანი ჩვენ ხელთ იქნება, და თუ არა ისტორიის მძიმე ჩაქუჩი კიდევ ერთხელ მოჰხვდება ჩვენს ისედაც გვემულ სხეულს. დღეს დიდი დღე დაუდგა საქართველოს. და ამ დიდ დღეს ჩვენც ღირსეულად უნდა შევხვდეთ. მთელი ჩვენი გონიერება, მთელი ჩვენი ნების ყოფა დღეს უნდა მოვიხმაროთ, რომ დროებით გახსნილი ნატვრის ცა მალე არ შეგვეკრას.

და აი, ამ მართლა რომ საშიშ და ძვირფას დროს, ჩვენს წინ წამოიჭრა ჩვენი პარტიული საკითხიც. საქართველო და ჩვენი პარტია, — აი დღევანდელი დიდი კითხვის მკაფიო სახე ჩვენთვის, საქართველო და ჩვენი პარტია, იგივეობითი ნიშნით გათანაბრდნენ. ჩვენ საქართველოს მომავალზე ფიქრმა წარმოგვშვა, და საქართველოს განთავისუფლებაც უსათუოდ ჩვენი ფიქრით უნდა დაგვირგვინდეს.

ჩვენი პარტია საქართველოსთან ერთად იტანჯებოდა, და საქართველოს განთავისუფლებას ყველაზე მეტი ზეიმით ჩვენ უნდა შევხვედროდით. უკეთ: საქართველოს განთავისუფლება ჩვენ, უნდა ვვეკისრნა, ჩვენ ვინც 16 წლის წინად პირველად ვსთქვით საქართველოსთვისაც მრჩ შემდეგ გვდევნიდნენ მდაბლად, უსინდისოდ. გვდევნიდნენ შავ-რაზმელებიც და სოციალისტებიც. მაგრამ ისტორიამ ჩვენი მდევნელნი ჩვენ წინ წამოაჩოქა, და საქართველოს განთავისუფლების დღეს, ხალხის ფიცი ჩვენმა დროშებმა დაიწერს მხოლოდ. მიტომ რომ სხვა საამისო დროშა არავის ჰქონდა. ეროვნულ-სოციალისტური პარტია მხოლოდ ჩვენ ვიყავით. დიახ, ჩვენ გავიმარჯვეთ.

მაგრამ ამ გამარჯვების გზაზე არც ჩვენ გვივლია ფეხ-გაკვეთილად. ჩვენც ბევრჯელ შევდექით ისტორიის უჩვევ გზაზე ოდნავ უხვევდით კიდეც, და ერთი შეხედვით თითქოს მუხლში ძალა აღარ გვყოფნიდა. მაგრამ მაინც არ შევმდგარვართ.

მაინც მივდივართ, და უფრო იზრდება სურვილი უფრო თამამი და გაბედული სიარულისა. და აი, ვიდრე შეუდგებოდეთ შემდეგ სვლას, ჩვენ უნდა ერთხელ კიდევ შევჩერდეთ, ერთხელ კიდევ გადავათვალიეროთ ჩვენი განვლილი და გასავლელი გზა, უნდა ავწონ-დავწონოთ ჩვენ მიერ მონაპოვარი სიკეთენი, რომელიც ასე გაამართლა ისტორიამ და რევოლიუციამ.

კიდევ ერთხელ შევჩერდეთ, რომ გავიგოთ, კარგად ვიარეთ თუ ავად. თუ კარგად, გავმხნევდებით და უფრო ხალისიანად წავალთ წინ, თუ ავად და აქვე მოვსპობთ იმ დამაბრკოლებელ მიზეზებს, რომლებმაც შეაფერხეს ჩვენი გასამარჯვებელი მსვლელობა. ერთხელ კიდევ უნდა შევაფასოთ ჩვენი პარტიულიორებულებანი.

რაც შეიძლება მეტი მზრუნველობა, რაც შეიძლება მეტად ანთება პარტიულ ცეცხლით, თორემ საქართველოს და მის მშრომელ ხალხს ქომაგი სხვა არ ჰყავთ ჩვენს მეტი. სხვებისა ჩვენ არა გვწამს-რა. 16—18 წლის ისტორიამ მეტად გაგვიღვია მათდამი ურწმუნოება.

15 სექტებერს ჩვენი მესამე თავისუფალი კონფერენცია კიდევ დანიშნული. ამ დღისთვის უნდა მოვემზადნეთ. ჩვენ მეტად სასტიკნი ვიქნებით [illegible] ველოს საკუთხევლან სისასტიკეა საჭიროა ამ დღეს ჩვენ უშიშრად უნდა ვსთქვათ ყველაფერი. თუ სადმე ვილაჩრეთ, ან ვიყოჩაღეთ, ყველაფერს ჩავსწერავთ ჩვენს პარტიულ ოქმებში.

ამ დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ შევფიცამთ ჩვენ ორ დროშას: ეროვნულს და სოციალისტურს. კიდევ ერთხელ დავსდებთ წმიდა აღთქმას ძვირფას მასწავლებლების აჩრდილთა წინაშე და შევიარაღდებით შემდეგი ბრძოლისთვის.

ჩვენ იარაღს ვერ დავყრით. ჩვენი ბრძოლა სწორედ ახლა იწყობა. ჩვენ ასე გვგონია. და თუ აქამდე ვაწარმოებდით უმთავრესად ეროვნულ ბრძოლას, ეს გასაგებია. მხოლოდ ამას იქით რომ სოციალისტურ ბრძოლის ველისაკენ გავსწევთ — ესეც უეჭველია. ჩვენ ქართველი სოციალისტები ვართ. ჯერ ჩვენი ქართველობა გამოვიჩინეთ, ახლა ჩვენს სოციალისტობას გამოვიჩენთ, ხოლო ამ გზაზე ჩვენ ისევე თავგამოდებით ვიბრძოლებთ სოციალიზმისთვის როგორც ვიბრძოდით საქართველოსთვის.

ვიბრძოლებთ. და ამ ბრძოლით ყველა იმათ, ვინც დღეს ქედ-მოხრილი სოციალიზმის და სოციალისტების მეოცნებობაზე ლაპარაკობენ, დიახ ყველა იმათ დაუმტკიცებთ, რომ აქაც ჩვენა ვართ მართალნი.

დროებითი დამარცხება, თუნდაც სასტიკი დამარცხება ვერ შეაშინებს მშრომელთა ლაშქარს. ჩვენ ბრძოლის ველზე დამარცხებასაც ველით და გამარჯვებასაც. საბოლოო კი — ჩვენი გამარჯვება იქნება.

დიახ, სექტემბრის 15-ს ჩვენი მესამე თავისუფალი კონფერენციაა. მოვემზადნეთ. თავისუფალ საქართველოში ეს ჩვენი პირველი თავისუფალი კონფერენცია იქნება.

## სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!

ამხანაგებო, დღევანდელ ჩვენს გაზეთში აწერილია რუსეთის ამბები და სხვათა შორის მოხსენებულია, თუ როგორ გვიცქერიან რუსი ბოლშევიკები ჩვენ, და როგორ ხმებს ავრცელებენ ჩვენს შესახებ. ხმები იმდენად ბნელად მხოლოდ შებრალებას თუ გამოიწვევს. მაშ რა არის, თუ არ შესაბრალისი ის ხალხი, რომელსაც მართალი მასალა გამოლევია, და ტყუილით და სცდილობს თავისი გავლენის შერჩენას. თანაც ტყუილი უსათუოდ სისუსტის მაჩვენებელია, და ტყუილის მთქმელი დაღუპვას ვერ ასცდება. ტყუილი ხომ ისეთი რამ ჯადო არ არის, რომ არ გამომჟღავნდეს? განა არის რამე ქვეყნად, ისეთი რამ დაფარული, რომელიც არ გამოჩნდეს? არა არის რა, და ტყუილიც ის მხათი არის, რომელსაც ტომარაში ვერ დამალავ. თავს გამოჰყოფს.

ტყუილი, სიცრუე, ეს ძველი წყობილების ხერხი იყო. ისინი სცდილობდნენ ამ გზით ხალხის თვალის ახვევას, მაგრამ თვალები თვით ახვიათ, და არამც თუ ახვათ, ისე დაიღუპნენ, რომ მათი აღდგენა შეუძლებელია. ეს სიცრუე, ეს მატყუარობა სენად დაჰყვა ახალი წყობილების ხალხსაც, და რომელსაც საქმე მიდგებოდა ან მიდგება ხოლმე ხალხის გულის მოგებაზე, მათ გამობირებაზე, პირველად ტყუილს მიმართავენ ხოლმე, თითქოს ამას მეტი სახსარი არაფერი დარჩენიათო. და სწორედ ამგვარი მოქმედების ბრალია რუსეთის რევოლიუციის დაღუპვა.

დღეს ბოლშევიკებს ნაბადი ფეხქვეშიდან ეცურდებათ. ისინი კვლავ განაგრძნობენ ტყუილებს, ატყუებენ ყველას, და უპირველესად კი თავიანთ თავს.

„საქართველოში, ქართველებმა რუსებს შარ-თლომეს სალამო გაუმართეს და სულ ამოჟლიტეს რუსები ო.“ ხედავთ ან ნაღებო რა უსინდისობამდე მისულან? ტყუილი კი, შეიძლება ითქვას, მაგრამ ასე უმსგავსო და სვინდის გარეცხილი მოქმედება კი უსათუოდ საზიზღარი ბოროტ-მოქმედებაა. —„რუს აფიცრებს ქართველები აიძულებენ ქართულად ლაპარაკს. წინააღმდეგ სიკვდილის დაჯით ემუქრებიან-ო.

[illegible] ნახე? სად გაგე? ნეტა ქართველები ლაპარაკობენ კი აქ [illegible]

# წითელი ნიაღვარი.

ხომ ამაოდ არ იქროლა იალბუზის ქარმა,
ხომ ბორკილი ვერ დაადო მზეს, ღრუბლების ჯარმა,
ხომ სიცოცხლე ვერ მოშხამა მწვანე ნიაღვარმა.

—

იალბუზის ქარი ისევ დაჰქრის შავი რისხვით,
ღრუბელთ ჯარი კვლავ მრავლდება მოზღვავებულ რიცხვით,
ჯადო ქალი ჰაერს ამღვრევს ბოროტების ციცხვით.

—

კლდენი, ღრენი ამეტყველდნენ ახალ ქართულ ენით,
მთამ ნაბადი წამოისხა სველი, ცრემლთა დენით,
ბარის გულიც არ მომკვდარა, ტანჯვით ამოდენით.

—

ქართულ ენით ამეტყველდა მცხეთის სამლოცველო,
ცრემლთა დენით მზეს შესცინის ფიცხი საქართველო,
რამოდენა ცეცხლის ალივებს ხმალთა სამართველო.

—

მაშ სადავე დაუჭირეთ „ქართლის ბედის" „მერანს",
შეუტიეთ ყორანს ავსულს, გულ-ობიანს, ვერანს,
მტერს ნუ მოჰკლავთ ყური უგდოს ჩვენს მზით თამამ მღერას.

—

ბედის მერანს ზედ მოახტა გმირი წითელ ჩოხით,
ყვითელ ლანდებს ფიცხად ჰფანტავს ჯადოსანი ჯოხით,
ტყის ქალები გზას უფენენ აზიური ნოხით.

—

ჰო, ამაოდ არ იქროლა იალბუზის ქარმა,
მზეს ბორკილი ვერ დაადო რუხ ღრუბლების ჯარმა,
საქართველო გადარეცხა წითელ ნიაღვარმა,
ნუღარ ნახოს შავი ხელი შოთას ლამაზ გვარმა.

ვ. ოთარიძე.

---

სოფლის ხ[illegible] ამ საკითხის გადაჭრის დროს. საჭიროა გლეხობის დაკმაყოფილება, რომ მან მტკიცეთ დაიცვას რევოლიუციის მონაპოვარი და გვერდში ამოუდგეს სამშობლოს და რევოლიუციის დამცველ მებრძოლებს. **მიწა მიწის მუშას** აი რევოლიუციის და ჩვენი გლეხობის მიზანი და მოთხოვნილება.

ისარი.

# გლეხი, მიწა და ერ. დემოკრატები

ეროვნულ დემოკრატები სოფლად გაფაციცებით მოქმედობენ, ცდილობენ გლეხები შეცდომაში შეიყვანონ და თავის სასარგებლოდ აიყოლიონ. ერ. დემოკრატები ამბობენ: მიწა საკუთრებად დარჩეს გლეხს, და ყიდვა გაყიდვის სრული უფლება უნდა ექნეს მიწის მუშასო. კი მაგრამ გაიგე კარგად ამხანაგო მიწის მუშავ თუ როგორ ესმით ნაც. დემოკრატებს საკუთრების დაცვა, და ვისი ინტერესი მეტია დაცული, გლეხის თუ მუქთა ხორა მემამულესი. რა თქმა უნდა მემამულესი. ყიდვა გაყიდვა რო მოისპოს, მემამულე ხომ ველარ გაყიდის მიწას გლეხებზე? და უსასყიდლოდ დარჩებათ გლეხებს მაშასადამე ჩვენ, სოც. ფედერალისტები მოვითხოვთ რომ ყიდვა გაყიდვა და იჯარით გაცემა მოისპოს; **მიწა მიწის მუშას** გადაეცეს უსასყიდლოთ, უიჯაროთ, მიწის ყიდვა-გაყიდვის მოსპობა აუცილებლად საჭიროა მშრომელი გლეხობისთვის ამხანაგო მიწის მუშა! შენ იშვიათად გაჰყიდი, ან დაიგირავებ მიწას; შენ ნამდვილი მიწის მუშა ხარ, მასზე მოწეული ნაოფლარით რჩები. ხოლო მიწის გაყიდვა-დაგირავება უხარია მას, ვინც თაღლითია და არა მუშა.

მაშასადამე, თუ კი მას მუშაობა არ უნდა, მუშა არარის. მაშ რატომ უნდა მომყიდოს? მე, მუშას მუქთად რომ დარჩეს უფრო სამართლიანი არ იქნება? ჩვენ ვეცდებით მუშის საქმე, მდგომარეობა ისე გავაუმჯობესოთ, რომ მას თავის მარჩენელი მიწის გაყიდვა არ დასჭირდეს; თორემ თუ კი იმ ზომამდის მივიდა გლეხის გაჭირვება, რომ მიწის გაყიდვა დასჭირდება, მაშინ მისი მდგომარეობა საშინელი იქნება, იგი თანდათანობით უნდა გამოეთხოვოს თავის საყვარელს სოფელს.

როცა თქვენ ვინმე გიუბნებათ ამხანაგო მუშა, რომ მიწის გაყიდვის და დაგირავების უფლება გქონდესო, ეს თქვენი ნამდვილი მტერია, ვინაიდგან მხოლოდ მიწის მუშების მტერს გაუხარდება მიწა გაყიდოს, დააგიროს და მუქთად ჩაყლაპოს. როცა თქვენ ვინმე გიუბნებათ: მიწა თქვენია, საკუთარი, როცა გინდა გაყიდე, დააგირავე, მოიხმარე როგორც გინდოდეს, ეს არ არის მოყვრული. რჩევა გლეხმა მიწა გაყიდა, ან დააგირავა, მერე რიღას მიწის მუშა იქნება? ძალაუნებურად უნდა გამოეთხოვოს სოფელს, ან ქალაქად უნდა იხეტიალოს, ან უნდა გადაჩილდეს, ვინაიდგან მას პატარობიდან მეტი ხელობა არა უსწავლია რა. ეს არის იმ საკუთრების დაცვა რომელსაც ნაც. დემოკრატები ეძახიან ე. ი. გამოეთხოვე შენს საკუთრებასო, იქნებ შენ ჩემში ეჭვი შეგეპაროს ამხანაგო მუშა და მითხრა: არა, ეროვნულ დემოკრატები საკუთრების დამცველნიაო. კი გეთანხმები, მაგრამ არა მშრომელი გლეხობის საკუთრების. ისინი იცავენ მემამულეების, მდიდრების საკუთრებას, რომ მუქთად არ ჩაუცვივდეთ გლეხებს მათი მამული ხელში. რა თქმა უნდა, მათთვის ყიდვა გაყიდვა უფრო ხელ საყრელია. წყალში თევზები რომ სცურავენ, იქ ლავს გაღებული აქვს უზარმაზარი პირი, იქ პაწაწინა ჩხამა, ნაფოტა ვერც ი ამჩნევენ და მიდიან და უთვალთავით უვარდებიან უზარმაზარ პირში. ასე: დიდი ლავი მუდამ ჰყლაპავს პატარა თევზებს შეუბრალებლად.

თუ მუშას გაუჭირდა, და თავის მიწის გაყიდვა—დაგირავებას შეუდგა, ვინ უნდა იყიდოს ჩალის ფასად? მდიდარმა, მემამულემ. მშრომელი ხალხის კერძო საკუთრებაც მთლად გადავა ნელა მდიდარი მემამულეს ხელში. მეორეს, ერ. დემოკრატები იცავენ კერძო საკუთრებას. მაგრამ არა გლეხების არამედ მდიდრების, მემამულეების.

ამ საათში ვინ უდგია გვერდში, ნაც. დემოკრატებს მე მეტყვით რომ მდიდრები, მემამულეები, და ვაჭრები. ეს მტკიცა, რომ ალბად მათ ინტერესს იცავენ. აბა სოციალიზაციის მომხრეს ხომ არ ამოუდგება გვერდში? მემამულეს უნდა ისეთი კანონი დარჩეს, რომ თავისი მიწა სამუშავოდ გასცეს გლეხზე და საგრძნობი ნაწილი ნამუშევრის მემამულეს მიართვას. ეს კი უსამართლოთ მიგვაჩნია. ჩვენ კი სოც.-ფედერალისტები, ვიმეორებთ: **მიწა მიწის მუშას** ზედმეტი მიწები ჩამოერთვას მემამულეებს, მონასტრებს და გადაეცეს გლეხებს სამუშაოდ. რატომ უნდა გაუყო ჩემი ნაშრომი მემამულეს? მას ხომ არ შეუქმნია იგი და მუშაობით ხომ არ მუშაობს? ჩვენ გვინდა ასე მოვაწყოთ საქმე, რომ ჩაგვრა აღარ იყოს. ერთმა პიროვნებამ მეორე არ უნდა დაიმონოს. ეხლა ამხანაგო მუშა ნათლად დაინახე რომ ნაც. დემოკრატები მდიდრების და მემამულეების საკუთრებას, იცავენ და არა მშრომელ ხალხისას.

ეხლა გადავიდეთ იჯარით გაცემაზე. ვინ გასცემს იჯარით მიწას, გლეხი თუ მემამულე? რა თქმა უნდა მემამულე, თორემ გლეხს ვინ მისცა საიჯაროდ გასაცემი მიწა? მაშასადამე ვინ იქნება დაინტერესებული მიწის იჯარით გაცემის უფლება რომ დარჩეს? რა თქმა უნდა მემამულე. მაშასადამე შენ დაეთანხმები, ამხანაგო მუშავ! ყიდვა გაყიდვა, იჯარა, უნდა გაუქმდეს, რადგან მიწის მუშის ინტერესი მხოლოდ მაშინ იქნება დაცული, როდესაც ჩაგვრა უსამართლოება მოისპობა. ამას მოვითხოვთ ჩვენ სოც.-ფედერალისტები, რომლებსაც გვსურს მშრომელი ხალხის ბედნიერება. ისეთი პირობების შექმნა გვსურს არავის უფლება არ ექნეს, მუშის ნამუშევარი მუქთად გაიყოს და მისი თვისოს,

ეხლა გეტყვით ამხანაგო მუშა, დარჩა ისეთი კანონი როგორც ერ. დემოკრატები ამბობენ: ყიდვა-გაყიდვა იჯარით გაცემა და სხვა. მაშინ მდიდარი და მემამულე არხეინად დაჯდება სახლში, მემამულე თავის იჯარით ისევ ისე უზრუნველყოფილი იქნება, ის მიწის მუშისაგან მიიღებს საგრძნობ ნაწილს ნამუშევრისას. მდიდარი ღარიბს დაიქირავებს და როგორც უნდა ისე ამუშავებს მაშასადამე საწყალი კაცი ისევ ისე მდიდრების მონა დარჩა წერილი გამაგრძელდა. დავამთავრებ ამხანაგო მუშა! ეხლა გმართებთ დაკვირვებული მოქმედობა. როგორც ლავი პატარა ნაფოტა თევზებს ყლაპავს შეუბრალებლად, თქვენც ისე არ გახდეთ მდიდრის საყლაპავად. გახსოვდეთ ჩვენი მიზანი: **მიწა მიწის მუშას.**

მუშა ევსევი კევლიშვილი.

## არჩევნებში ბლოკი არავისთან საჭირო.

(დასასრული)

თუ ეს ასე არ ვქენით, საქართველო დაიღუპება, ამბობენ შეთანხმების მომხრე ამხანაგები, სოციალ-დემოკრატებს სახელი გაუტყდებათ, ჩვენ თუ იმათ ძველებურათ ბრძოლას დაუწყებთ, ისინი კი და დამოუკიდებელ საქართველოს სათავეში უდგანან! მაგრამ ეს მოსაზრება კრიტიკას ვერ უძლებს: სოციალდემოკრატებს ჩვენს გარდა სახელის გამტეხი ბევრი ჰყავს: ნაციონალ შევიკები, სოციალისტ-რევოლიუციონერები, ნაციონალ-დემოკრატები და სხვა, ჩვენ თუ ჩვენი საკუთარი ნაბიჯით არ ვიარეთ, თუ მუდამ სოციალ-დემოკრატებთან ერთად ვიქნებით, დამერწმუნეთ რომ სოციალ-დემოკრატებთან ერთად დავკარგავთ ხალხის ნდობასა (დამსახურებულად თუ დაუმსახურებლად, ეს სხვა საკითხია) და ამით გაძლიერდება სხვა რომელიმე პარტია სოციალ-დემოკრატების ხარჯზე. და აი სწორედ ეს იქნება საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის დაღუპვა. დემოკრატიის ნაწილი თუ მოშორდება სოციალ დემოკრატებს და ამის ნიშნები უკვე ბევრია, ჩვენთან სოციალისტ ფედერალისტებთან უნდა მოვიდეს და ეს თვით სოციალ დემოკრატიისთვის უფრო ადვილი ასატანი უბედურება იქნებოდა, რადგანაც მშრომელ ხალხს და საქართველოს რესპუბლიკას არ დავღუპავდით ამის გარდა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას არ სჩვევია ცილის წამება და დემაგოგია ვინმეს წინააღმდეგ. ჩვენ შეგვიძლიან გადავშალოთ ჩვენი პროგრამა ხალხის წინაშე და თუ მართლა საჭიროა საერთო საქმისთვის, სოციალ-დემოკრატიას ერთი სიტყვითაც არ შევეხოთ. ამიტომ ჩვენი დასკვნა ასეთია: ყოველ არჩევნებში როგორც ახლა ხდება, და სადაც ჯერ კიდევ არ მოგვიხდენია შეთანხმება, ან მომავალ არჩევნებში, რომელსაც საქართველოში ექნება ადგილი, გამოვიდეთ ყოველთვის დამოუკიდებლივ მთელი ჩვენი ენერგიით და ძალღონით, მთელი ჩვენი ცეცხლით. მივიდეთ ხალხთან. და ხელი შევუწყოთ მას გათვითცნობიერებას. ამით ხელს შევუწყობთ საკუთარ გაძლიერებასაც, ძალასაც შევიძენთ და სახელსაც. ერთი სიტყვით ცალკე სვლა, ერთად შეტევა, ერთად დამხობა საშიში მტრისა ასეთია რევოლიუციონერ პარტიების გზა, და ჩვენც ამ გზით უნდა ვიაროთ!

ს. აბულაძე

# ყურ მოკრული საუბარი.

**დათიკო:** გამარჯობა ძმაო გიორგი.

ღმერთმა გაგიმარჯოს ჩემო დათიკო! სხვა როგორაა თქვენი საქმე სოფლად, რა ამბავია?

**გიორგი:** — ეჰ, სოფელი, ავად არის ჩემო დათიკო ავად. ჩვენ მარტო საწყალ ძროხათა ვართ ქალაქელებისგან მიჩნეული არც მეტი არცა ნაკლები.

**დათიკო.**—კაცო გული რას გატეხია? ეხლა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა, ეგრე გულ ჩათხრობილი კი არ უნდა იყო, უნდა სიხარულით ცას ეწეოდე.

**გიორგი.**—ეეე—გამანებე თავი მამა გიცხონდა. შენ ადრევაც რომ მოსდიოდი პატარა პროკლამაციასაც მაგნაირს არიგებდით, „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკასო" შვილოსა და ეგ როცა საბრძოლველი იყო ჩვენთან მოსდიოდით, ამხანაგოს გიძახოდა. გეძახოდით, როცა ჩვენი დახმარება ეხლა კი შემოდგომის მერცხლებივით დაგვეკარგენით სოფლებიდან, დასხედით მაგ რესპუბლიკაში და ისე ხმარობთ ყველაფერს როგორც თქვენ ქალაქელებს გინდათ. ნავთია, ჩვენკენ არ უშვებთ, შაქარია და თვალით არ გვინახავს. აგერ თვეა ჩაი; აი აგერ ეს მესამე თვეა რაც ფეხზე ქოლამანი არა მცვია არამცთუ ჩუსტი. ცოლშვილია და თითქმის შიშველნი სხედან სახლში. მარილი და ათასი რამ აღარა გვაქვს. შე კაი კაცო, თუკი ეგრე ყველაფერი თქვენთვის გინდოდათ, აქ ჩვენ რაღას გვაწუხებდით და ყურებს გვიჭედავდით ამხანაგო ამხანაგოვო, თუ ამხანაგი ხარ, ჭირშიაც ამხანაგი უნდა იყო და ლხინშიაც. როცა ქალაქის მუშებს გაჭირვება გადგათ, აქეთ მორბიხართ, და როცა ლხინი გაქვთ არ გინდივართ მაშინ?

**დათიკო.** მესმის ძმაო გიორგი შენი გულის წყრომა, მაგრამ საყვედური სამართლიანათ არ არის მიმართული. შენ რომ ნავთი, ჩაი, შაქარი და სხ. გაკლია, ეგ ყველა ჩვენგან, ქალაქის მუშების მეოხებით კი არ არის შეკრული, არამედ მაგას აქვს თავის გასამართლებელი საბუთები. ტანისამოსი რომ არ მოდის, ეს იმის ბრალია, რომ ერთი მხრივ რუსეთში რაც ფაბრიკა ქარხანა იყო, უმრავლესობა გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში; მეორეც ის, რომ ძაღლი პატრონს ვერ იცნობს. რუსეთის რკინის გზა ამ არეულობის გამო თავის დანიშნულებას წესიერათ ვერ ასრულებს და აღარც თვით რუსეთშია რამ მოსატანი, ერთად ერთი გზა—ევროპა არის, მაგრამ ინგლისი, საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია, იტალია, ბულგარეთი, ამერიკა და სხვა სახელმწიფოები ისეთ სამკვდრო სასიცოცხლო ომში არიან ჩაბმულნი, რომ მოსატანათ აღარც სცალიანთ და აღარც გზა თავისუფალი, ჩვენკენ ხმელეთითაც და ზღვითაც გზებია შეკრული. შენ ხომ იცი ამ სახელმწიფოებს სახელები რომელიც მე ჩამოგითვალე, ჰოდა შენ რომ ჩაი შაქარი, ტანისამოსი და სხ. რომ არა გაქვს, დამნაშავე ქალაქის მუშები კი არა ვართ არამედ ეს ომია მიზეზი ყველაფრისა.

**გიორგი.** დაიცა თუ ღმერთი გწამს მე შენ ვიცი ლაპარაკში ვერ გაჯობებ. შენ ადვოკატივით ლაპარაკში გაწაფული ხარ, მომიყვები ამერიკას, ანგლიას და სიტყვით გინდა კბილი მომჭრა. ჰო, ეს უტანისამოსობა ომმა ჰქმნა, მაგრამ ეს რაღამ ჰქმნა შვილოსა რომ პოლიცია გადადგა, თქვენ მილიცია დაგვარდია გააჩინეთ, და ქალაქის სახლებს მშვენივრათ აყარაულებთ, წესიერებაც უკეთესია ქალაქში. რატო ჩვენზე არ იფიქრეთ შვილოსა, როცა საქონელი მინდორში საძოვრათ ვერ გაგვიყვანია, გუთნეულს წავასხამთ სახნავათ და აღარ ვიცით სახლში მივალთ თავ-მთელი თუ არა. სოფელში მიკიტნები ტარბივით დაგვესია, ერთის მაგივრათ ორმოცია. ქურდები ხო ისე არიან წათამამებულნი, რომ შიშით ხმა ვერ გაგვიცია. ჩვენში არც მთავრობაა, არც პოლიცია, არც რაიმე წესიერება.

**დათიკო:** ეჰ ჩემო გიორგი! მაგაში ჩვენ კი არ უნდა გვდებდე ბრალს, არამედ ისევ თქვენი სოფლის ხალხს უნდა უსაყვედურო. ჩვენ ქალაქის მუშებმა რომ ქალაქში წესიერება დავამყარეთ, იცი იმაზე რა შრომა გავიღეთ? დილიდან საღამომდის ვმუშაობდით. შემდეგ [illegible] მეს უბნებში ვყარაულობდით და წესიერებას ვიცავდით. თქვენ? თქვენ ხალხი არა ხართ? რატომ ერთ დღეს არ მოიყრით მთელი სოფელი თავს ისე, როგორც ერთი კაცი, და არ დაადგენთ მოისპოს სოფელში ღვინის დუქნები? რატომ არ ადგენთ დაწესდეს სოფლათა და მინდვრათ მორიგი დარაჯები? ამისთვის ხომ გაქვთ იარაღიც. აბა ასე მოიქეცით და ნახავ თქვენში იქნება წესი თუ არა. აბა ნახეთ როგორ იქცევა სოფელი წინარეხი, წალენჯიხი და სხ. მე ის არ მინდა ვსთქვა, რომ სულ ასე იქნება მეთქი. მთავრობა ჯერ სუსტია, იგი მომაგრდება და შემდეგ თვითონ მოუვლის საქმეს. მანამდის კი თქვენ თვითონ უნდა შეეცადოთ წესიერების დაცვას. აი მაგალითად სოფელ წინარეხში შემდგარია სოციალ-ფედერალისტების გლეხთა ძლიერი რაზმი. თუ ვინმე უწესობას ჩაიდენს, ვაი იმის ბრალი: დაიჭერენ და სასტიკ პასუხს აგებინებენ.

დღეს შენ ხომ იცი, ჯარის კაცები რომ შინ წამოვიდნენ ყველამ თოფი თან მოიყოლია. დადიან ეს ვაჟბატონები სოფელში. და ბრალიან უბრალოდ გააქვს თოფებს გრიალი, და მოსვენებას არ აძლევდნენ მშრომელ ხალხს წინარეხში. პირველად როცა მოვიდნენ, თავიანთ თოფების შემწეობით ბატონობა მოისურვეს, მაგრამ ისეთი დღეში ჩაყარა წინარეხის გლეხების რაზმმა რომ ეხვეწებოდნენ იარაღი ჩაიბარეთ და სიტყვას გაძლევთ არაფერს დაგიშავებთო.

(შემდეგი იქნება).

გ. სულთანიშვილი.

# ლოთობა თუ განათლება?

თუ ოდესმე ვინმეს ცოტათ მაინც გადაუთვალიერებია აწ უკვე დასამარებულს დროში ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლები, მას ნათლათ დაეხატება ჩემი ოცნების სინამდვილე... დიდი და პატარა თითქმის ერთსა და იმავეს გაიძახოდა, რომ დადგება დრო და ჩვენ თვითონ მოვაწესრიგებთ ყოველ კულტურულ საქმეებსაო; მაგრამ ეს ასე სრულებითაც არ მოხდა.

მის ნაცვლათ, რომ ხალხში სულ სხვა განათლება შეგვეშუქებია, შეგვეტანა და მით მოგვეპოვებია ნდობა, სულ უკუღმა დავაბოლავეთ ყოველი წინ-სვლის საქმე. ერთის ნაცვლათ ასი სამიკიტნო დუქანი გაჩნდა, სადაც ილეშება ისედაც გრძნობა არეული, დაკარგული ხალხი და ვინ რა საზიზღრობას სჩადის ალაჰმა უწყის!

კაცს ფეხი ვერ გადაგიდგამს, რომ არ შემოგეხვიოს გალეშილი კაცი და ძალა-უნებურათ არ აგიყოლიოს. რას იზამ, არ მოგცემს მოსვენებას და თუ საიმგვარო რაიმე წამოგცდა, ზედ გულზე დაგამიზნებს რომელსამე დარგის იარაღს. როცა შენც აგიყოლიებს, აი, მაშინ დაიმშვიდებს ამღელვარებულ გულს და თან წამოგიწყებს ჩახლეჩილი ხმით: „ბრავალჟამიერს" არა ჰგონია, რომ იადონსავით არ გატკბობს მისი რაკრაკა ხმა!?

ლოთობა, ეს ზნეობრივათ ხალხის გამრყვნელი და სულიერათ დამაქვეითებელია; მაგრამ, როგორც ჩემი თანამოაზრე ხედავს, არავის ესმის მაგვარათ და თუ ესმით რა არის მიზეზი, რომ ხელს აფარებენ?! უზომო ხარჯებსაც რო თავი გავანებოთ, ხალხი ამის მეტს აღარას დაეძებს, ოღონდ კი დათვრეს. სანოვაგე ამ ცოდვა-მადლის განკითხვის დროს ოცჯერ მეტი აქ იხარჯება, რადგან სოფლელი კა-

ცი და ქალი დღეს ფულითაა დაინტერესებული, გატაცებული და უკანასკნელ სარჩო-საბადებელს აქ ეზიდება.

სხვამ თუნდაც ერთ მჯადში ხუთი მანეთი მისცე, მაინც ენანება და, რომელიმე მიკიტანმა რო ამის ნახევარიც შეაძლიოს, მაინც დასთანხმდება. ასეთ სუსტი ხასიათის ხალხს აუცილებლათ მაგარი მთავრობა უნდა ჰყავდეს და ყველა ასეთებს აკრძალვა ესაჭიროება. თორემ, როცა ბევრი ასეთი სურათები თვალის წინ გვიძევს, ჩნდებიან მთავრობის მტრები, დამცინავი ღიმილით გვიმასპინძლდებიან და შეუგნებელ ხალხს კიდეც უმტკიცებენ მთავრობის სისუსტეს..

გულნატკენი სიმშილ- წყურვილით სოფლის ხალხი ოხვრით იგონებს ხოლმე იმ მთავრობას, რომელიც თურმე მას თეთრ პურს აჭმევდა და ეხლა კი სიმშილით სული ხდება. ამისავე სიტყვით არავის იხსნის სამიკიტნო დუქნებში გაჩაღებული—ლოთობა და „იაუვს“ ძახილი. საჭიროა ასეთების აკრძალვა და მის ნაცვლათ სასწავლებლების გავრცელება, თორემ ასეთ პირობებში ვერც ერთი მთავრობა ვერ შესძლებს ხალხის სულიერ აღდგენას და გაძლიერებას.

სოფლელებს თუ რამე შემოაკვსთ, მიკიტნები იტაცებენ სამ-ოთხ ზომ ფასებში და შემდეგ კაცი რომ ვეღარას შოულობს, ძალა-უნებურად ეხეტება ამ გამაკოტრებელს დუქნებში. და მიკიტნებმა, რომ სამ-ოთხ მანეთად იყიდეს რამე, 15 20 მანეთად ურცხვად ახდევს სიმშილ-წყურვილით მოქანცულ ხალხზე, ამიტომ ჯერ საზოგადოება უნდა კმაყოფილდებოდეს ხორაგით და შემდეგ კი მიკიტნებს უნდა ეძლეოდეს დანარჩენის ყიდვის ნება; მაგრამ ეს ასე არა ხდება და ნეტავ რად!?! საჭიროა ასეთ არა სასიამოვნო მოვლენებს ყურადღება მიექცეს, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება ნეკზე კბენანი!...

„ისმაილის ნათლული.“

# გაქცევა სოფლად.

მე მგონია რომ თავისუფალ ქვეყანაში ყოველ თავისუფალ მოქალაქეს უფლება აქვს იმოქმედოს თავისუფლად იმდენად, რამდენადაც ის თავის მოქმედებით სხვის თავისუფლებას არ ზღუდავს.

ყოველ შემთხვევაში ასე გვასწავლიდა უწინ ერთი პროპაგანდისტი. მეც ჩემ თავისუფალ სამშობლოში მოვისურვე თბილისის თავისუფლად დატოვება და გამგზავრება სოფლისკენ, რომ იქ მაინც თავისუფლად ამომხორა ეს ჩემი საცოდავი მუცელი. წავედი. წავიყვანე ჩემი ოჯახიც. გამიგონია ანდაზა, რომ თუ მთა არ მიდის მაჰმადთან, მაჰმადი წავა მთასთანო. მე ეს ანდაზა ასე შევცვალე: თუ პური არ მიდის კაცთან, კაცი წავიდეს პურთან. და წავედი კიდეცა მეც ხომ ჩვენი მთავრობა არა ვარ, და კი არ შევაჩერეთ. თუმცა უნდა ისიცა ვთქვა, რომ ჩემსა და მთავრობის შორის განსხვავება რომ არსებობს, იმის მიზეზი უნდა იყვეს ჩვენი მოქმედების განსხვავებაც. მთავრობა ტყვეს და შესრულდება თუ არა [illegible] არ ეშინია. [illegible] ამ პირობებში ადვილია. მე კი, როცა მომშივა, ყურს მოუგდებ არ შემიძლიან. და თუ თქვენ მაჩვენეთ კაცს, რომელიც სიმშილს ყურს [illegible] და ისეთ სიმშილი, როგორიც თბილისშია, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ მე ერთი [illegible] მქონდა მაგიერ ერთი [illegible] შეჭამ, მიტომაც არის რომ ჩემს სიმშილის საქმე მოდევს, მთავრობისას კი [illegible] გამოდის რომ მთავრობას ჯერ არ მოშივა, ეს სოფელში, მაგრამ თვით ცენტრის რესპუბლიკასაც კი არ უსურვებ-იმას, რაც ჩვენს სოფელში ხდება. სულ რომ თავი ქვაზე ახეთქო, პატრონი არ გამოგიჩნდება. პური? სად არის პური? პური არის მაგრამ ისეთ არის, როგორც მოლას ვირი, ბოსელში რომება, და მეზობელს კი უცრუა, არა მყავს ვირი, თორემ როგორ დაგიჭერდიო.

ჩვენს სოფელსა და მოლას შორის კი ის განსხვავებაა, რომ, მოლას ვირმა დაიყროყინა, და თოლას ოინბაზობა გამოაშკარავა, ჩვენი სოფლის პური კი არა ყროყინობს, და ოინბაზობაც იმალება. და ვინ ოინბაზობს იცით? სომხის ჩარჩები, როგორც ძუნძულები. ისე თავ ჩაღუნულები დაძრწიან სოფელ-სოფელ, და ყიდულობენ აწარმოებულ პურს განა გასაყიდად? არა. გადასამალად, რომ შემდეგ ამაზე გადარეულ ფასებში გაჰყიდონ. იტყვით, ადგილობრივი კომისრები რაღას აკეთებენ, თუ მაგვარ ხალხს არ ლაგმავსო, მაგრამ როგორ გეტყვით, რომ სიმშილს შენც გამოუჩერჩეტებიხარ. კაცო სად არის მთავრობა? სად არიან ან კომისარი, ან მილიციონერი ან სხვა?... გეუბნები და არტყუები არიან კრიმინალებიც, პროპაგანდისტები ლარაც გინდათ. მერე თბილისს მთავრობამ არ იცის განა ეგენიო—მკითხავს. რა ვიცი იცის? თუ იცის და ხმას არ იღებს—ეს ბოროტ მოქმედება იქნება, თუ არ იცის და უფრო მეტი ბოროტმოქმედება. ვიწანწალე სოფელში, ვიხეტიალე, და შოთას სიტყვებს, ჩემებურად გადაბრუნებულს გულში ვამბობდი: ვაჰ სიმშილო, რა მიგან ხარ, რას მაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, ყოველიმც შენგანით დაჩაგრული, ნიადაგ მცა უშენოდ [illegible] ტირსა“. და სოფელშიც მომწყინდა მშიერი ტირილი. ჩამოვედი ისევ ქალაქში და ჩემი ოჯახობაც ჩამოვიყვანე. გაზეთში წავიკითხე საკითხის შესახებ რაღაც პროექტი იწერა. მწარედ გამეცინა. კაცო პროექტი და სულ პროექტი. თუ საქმის მაგიერებას ივ პროექტები, გიწერთ, სცადეთ, იქნებ პურის პროექტიც შეგვეშოთ. და ისევე, როგორც თქვენ საქმის მაგიერ პროექტებით საზრდოობთ, ჩვენც პურის პროექტით ვისაზრდოოთ ნამდვილ პურის მოსვლამდე. თორემ რა გამოვიდა. თქვენ სასახლეებში, ელექტრონებით განათებულ თეთრ დარბაზებში სხდხართ, თამბაქოს წევით პროექტებზე კამათობთ, ჩვენ კი მდროის გარეთ [illegible] ქრაქის შუქზე (ნავთიც ხომ აღარ არის) მშიერები ვსხედვართ, და ველით ლოგინის გაშლას, რომ ძილში მაინც გამოვაპაროთ მთელი დღის სიმშილი. გვალიც არის, ზღვაც, მაზეგაც...

ნეტა რომელი ადრე მოისპობა, პროექტების წერა თუ სიმშილი? მის გამოცნობა ჩვენი მთავრობისთვის მიმინდვია.

ვ. პაპაძე.

# ამხ. აკაკი ბრეგაძე.

უეცარმა სიკვდილმა მოულოდნელად მოგვტაცა ჩვენი პარტიის საუკეთესო მუშა და ერთგულესი წევრი, ამხ. აკაკი ბრეგაძე. იგი ფოსტის პატარა მოხელე იყო. რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე აღფრთოვანებით იწყო მუშაობა, რომ თავისუფლება ამდენი ხნის ნანატრი და საოცნებო, მალე ხელიდან არ გაგვფრენოდა, და მშრომელ ხალხთა ბნელ სარდაფებში ჩაქრილიყო სიცოცხლის გადასახალისებლად.

ამხ. აკაკი ამ თავისუფლებით თავის სამშობლო საქართველოს აღდგენას მოელოდა. მიტომ შესტროდა იგი ამ თავისუფლებას, მიტომ მუშაობდა ისე თავგამოდებით. და აკი როდესაც საქართველოს ცაზე შავი ღრუბლები აირია როდესაც საქართველოს ყოველ მხრიდან მტერთა ხელები აეჯაგრნენ, როდესაც ჩვენი პარტია იარაღში ჩაჯდა, საქართველოს მტერთა მოსასპობად, ამხ. აკაკიც პირველ რაზმელთა შორის მოექცა, და ქებუკური გატაცებით გაეშურა ბათუმისკენ, სადაც ინასკვებოდა საქართველოს ბედი და უბედობა.

დიახ, აკაკი ჩვენ პირველ რაზმშივე მოჰყვა და პირველივე დაიჭრა გემზე გაჯულიგანებულ მატროსებს რომ შეებნენ. მამაცობისთვის ჩვენმა მთავრობამ იგი გიორგის ჯვრით დააჯილდოვა.

შემდეგ პარტიზანულ პოლკში გადირიცხა, და სიკვდილამდე ეს პოლკი არ დაუტოვებია. დიახ, აკ აკი საუკეთესო პარტიული მუშა იყო, და პარტიაც გულწრფელად იგლოვებს ძვირფასი ამხანაგის დაკარგვას.

მშვიდობით ძმაო.

ამხანაგი

# მოწოდება.

ამხანაგებო! უკვე მეორე თვე ხდება, რაც გამოდის ტფილისის სოც. ფედ. მუშათა კავშირის გაზეთი „სოციალისტ-ფედერალისტი“ მიუხედავად იმ დიდი დაბრკოლებების, რომელიც წინ გადაგვეღობა, მიუხედავად იმ ზღაპრული სიძვირისა, რომლის მოწმენიც ჩვენა ვართ, მაინც გადავლახეთ ყველა ეს დაბრკოლებები, და ჩვენი გაზეთის გარშემო შეუდექით ამხანაგების თავის მოყრას. ჩვენ არ გვაშინებს ის სუსტი მხარეები, რომელიც თან სდევს ჩვენს გაზეთს. ეს პირველი ცდაა მუშების შეუჩვეველი კალამი გამოიწრთვნება და შემდეგში ნაკლსაც შეძლების დაგვარად ავიცილებთ. ამხანაგებო! მუშებო და გლეხებო! შემოკრბით ჩვენს გარშემო, რომ შეკავშირებულებმა შევსძლოთ ქართველი მშრომელი ხალხის პატრონობა და მათი ცხოვრების გაუმჯობესება. დიდ ხარჯებს მოითხოვს ჩვენი გაზეთი. წყარო კი მხოლოდ ჩვენი საკუთარი, ღარიბი მუშების ჯიბეა დაგვეხმარეთ, რომ შეძლება გვქონდეს მუშის ფიქრის გამოთქმისა, დაგვეხმარეთ, რომ შევიძლოთ მუშათა დარაზმვა ჩვენი წმინდა დროშების ქვეშ.

თუ ჩვენვე არ გაუძეხით ჩვენ საქმეს, მზრუნველობით ფონს ვერ გავალთ.

ამხანაგებო! მოგვაწოდეთ ცნობები, წერილები, კორესპონდენციები.

საქართველოს მოძრავ ცხოვრებას მუშაობაც გაცხოველებული უნდა. ვიმუშაოთ, ვიბრძოლოთ. ნუ შეუშინდებით ნურავითარ გაჭირვებას, და გამარჯვება უსათუოდ ჩვენ დაგვრჩება. მაშ დაგვეხმარეთ ყოველნაირად, ყურად იღეთ ჩვენი ძმური მოწოდება ძვირფასო ამხანაგებო.

ტფ. მუშ. კავშ. გამგეობა.

# რუსეთის ამბები.

პეტერბურგიდან ჩამოსული ამხანაგი გადმოგვცემს, რომ იქ საშინელი სიმშილი ყოფილა. ამ სიმშილობის ნიადაგზე მუშები ღელავენ ბოლშევიკების წინა აღმდეგ. ისე არიან ბოლშევიკები აქამ შეწუხებულნი. ხომ დღე-დღეზე ელიან, და ელიან მოულოდნელად ინგლისელების შესვლას პეტერბურგში. ბოლშევიკების წინა აღმდეგ რომ მხედრობაში იყვნენ მემარჯვენ სოციალ რევოლიუციონერები და ს. დ. მენშევიკები. ახლა ბოლშევიკებს წინაა აღმდეგ გამოდიან მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერებიც. მაგრამ ამ უკანასკნელთ ხალხი არ უჯერის. რაც ბოლშევიკია, ის მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერია. მემარცხენე სოც.-რევოლიუციონერები მეტად არიან გამძვინვარებულნი მათი მეთაურების კამკოვის და ალექსანდროვიჩის დახვრეტის გამო. ამ ორის დახვრეტა თვით ბოლშევიკებს ოფიციალურად გამოუცხადებიათ. რაც შეეხება სპირიდონოვის ქალს, ამის შესახებ ოფიციალური განცხადება არ ყოფილა. ხმები კია, რომ ისიც დახვრიტეს მათთან ერთად.

რუსეთში ძალიან აინტერესებთ კავკასიის საქმეები. საქართველოს შესახებ ავრცელებენ ყოველ-გვარ ხმებს და ჯითებით სწერენ გაზეთები, რომ საქართველოში რუსებს გაუმართეს „ბართლომეს ღამე“ და ამოჟლიტეს. რუსებს ერეკებიან ან და ხოცავენო. რუსებს ქართველები ძალით ალაპარაკებენ ქართულად, წინააღმდეგ შემთხვევაში დახვრეტით ემუქრებიანო.

ისე რომ ამ ბელოვნური საშუალებებით, ამ უსინდისო ჭორებით სცდილობდნენ ბოლშევიკები, რომ რუსის ხალხი ქართველების წინა აღმდეგ აეხედრებინათ. ბოლშევიკებმა მიზანს თითქმის მიაღწიეს კიდეც. რუსის საზოგადოება მეტად იყო აღშფოთებული ქართველობის საქციელით, და მტრული თვალით უცქეროდნენ საქართველოს და აგრეთვე რუსეთის ქართველობას.

თუ ქართველები შეაძულეს რუსებს, სამაგიეროდ სომხები შეაყვარეს, მაგრამ დროებით.

ბოლშევიკთა „იზვესტიაში“ ორი წერილიც მოათავსეს, სადაც დიდი ქებით იხსენიებდნენ სომეხთა გმირს ანდრონიკს. მაგრამ უცბათ ბოლშევიკებმა ყური მოჰკრეს და აღმოაჩინეს, რომ სომხები არამც თუ მათი მეგობრები, არამედ მათი მოსისხლე მტრები ყოფილან. და ანდრონიკის შესახებ წერილის ავტორები უსიტყვოდ ციხისკენ გაამგზავრეს. ამას გარდა დაუწყეს დევნა სომხებს და დაუკეტეს სომხებს ყოველგვარი ორგანიზაციები. რომელიც კი მათ ჰქონდათ რუსეთში.

მაგრამ ამით არ დამთავრებულა ბოლშევიკთა გულის-წყრომა.

ბოლშევიკებმა გაიგეს თუ არა ბაქოს ალება, გადასწყვიტეს წითელ არმიის გამოგზავნა ბაქოს დასაბრუნებლად. ჯარს ხელმძღვანელად დაუნიშნეს ქართველი, ვინმე პლატონიაშვილი. ეს ჯარი, რიცხვით 5,000 გამოიგზავნა ბაქოს უკან დასაბრუნებლად.

ბრძანება აგრეთი აქვთ მნ უნდა უკან დაიბრუნონ ბაქო, ან-და უნდა დასწვან, დაანგრიონ და დაამხონ ეს ქალაქი. თუ დაიბრუნეს ქალაქი, შემდეგ ვითომ ეს ბოლშევიკები უნდა შეუთანხმდნენ ადერბეიჯანელ თათრებს, და მათთან ერთად უნდა გამოილაშქრონ თბილისზე. ვნახოთ, ჩამოაღწევენ თუ არა ბოლშევიკები თბილისამდე. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს ბოლშევიკთა გეგმა ან მთვრალი კაცის მიერ უნდა იყვეს შედგენილი, ან და სულელი კაცის მიერ. არ უნდით ნეტავ ბოლშევიკებს, მანამდე შეინარჩუნონ ძალა უფლება, ვიდრე მათი წითელი არმია დაანგრევს თბილისს?

მაგრამ ეს მგონი მომაკვდავის ნიშანია.

ეჰ, რა კარგად დაიწყეს, და რა ბინძურ ტლაპოში იხრჩობიან!

რა უსამართლოა ისტორია!

# უცხოეთში.

**გლეხთა მოძრაობა.**

რუსეთში, ბოლშევიკთა „იზვესტიაში“ ცნობებია მოთავსებული, შესახებ გლეხთა აჯანყებისა ბოლშევიკთა წინააღმდეგ. აჯანყება გამოიწვეულია სიმშილით და საერთო არეულობით.

**ოფიცერთა ჯარში გაწვევა.**

მოსკოვის ცენტრ. აღმ. კომ. „იზვესტიებში“ არის მოთავსებული ბოლშევიკთა მთავრობის ბრძანება, შესახებ ყველა ოფიცერთა ჯარში გაწვევის.

**ჩერნიგოვი.**

ჩერნიგოვის გარშემო გლეხები აჯანყებულან, დასცემიან ჩერნიგოვს და მიუხედავად ჯარის ნაწილი ამოუწყვეტიათ. ქალაქი ბრძოლის შემდეგ მაინც მეამბოხენი ჯარის ხელში. გადასულა. აჯანყების მიზეზი უპურობა და უწესრიგობაა.

**ლენინის გამგზავრება.**

როგორც [illegible] ცნობილი ბოლშევიკები მიემგზავრებიან [illegible] ცენტრალურ ხელმწიფოებთან (გერმანია, ავსტრია და სხ.) უფრო მჭიდრო კავშირი შეჰკრან.

**გერმანია და რუსეთის ბოლშევიკები.**

საფრანგეთ—ინგლისის მთავრობა შეტევას აწყობენ წინააღმდეგ რუსეთის ბოლშევიკებისა, რომ ამ გზით გერმანიას კვლავ გაუჩინოს აღმოსავლეთის ფრონტი. მოსალოდნელია, რომ ამ მოკლე ხანში რუსეთის მიწა-წყალზე გაჩაღდეს დიდი ბრძოლა. გერმანელები ბოლშევიკებს ხელს უწყობენ.

**ნიკოლოზ II მკვლელის დახვრეტა**

სტოკჰოლმი. 25 აგვისტო. აქ მიღებულ ცნობების თანახმად, ნიკოლოზ II-ის ერთი მკვლელთაგანი, მუშა მელომბოროდვა, ეკატერინბურგის გზაზე იქმნა დახვრეტილი, რის შემდეგაც გადიზიანებულმა ბრბომ მკვლელის ცხედარი ნაჭერ-ნაჭერ დახლიჩა.

**პეტერბურგში.**

ჩვენ:მდე მოღწეულ ცნობების თანახმად, პეტერბურგში 4—5 აგვისტამშეპყრობილ იქმნა 17.000 კაცი, უმეტესად აფიცრობა და პეტერბურგის ბურჟუაზიის წარმომადგენლები.

**ვლადივოსტოკში.**

გერმანულ გაზეთების ცნობით, ვლადივოსტოკში ინგლისის ჯარი გადმოსხდა.

# ახალი ამბები

**აჭარის შემოერთება.** აჭარიდან სამხ. მინისტრს, გენ. მაყაშვილისგან მოუვიდა შემდეგი დეპეშა. ნება მომეცით ბ-ნო მინისტრო, ჩემის ჯარის, აჭარის მცხოვრებთ და ჩემის მხრივ მოგილოცოთ თქვენ და საქართველოს მთავრობას, მშობელ დედის კალთებს მოგლეჯილ შვილთა უსისხლოდ შემოერთება, და გისურვებთ სრული გამარჯვება საქართველოს განახლებისა და განმტკიცებისათვის.

**ჯარში გაწვევა** გადაწყვეტილია ჯარში გაიწვიონ (მუსულმანთა გამოკლებით) ყველა ის ახალგაზრდები, რომელნიც დაბადებულ არიან 1895-1899 წლებში ე. ი. 19 წლიდან 23 წლამდე. გაწვეული ახალგაზრდები უნდა გამოცხადდნენ 10 სექტემბრისთვის. ვინც არ გამოცხადდება, დეზერტირად ჩაითვლება და გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

**ხოლერა ტფილისში** ხოლერა გრძელდება.

**ქართველობა რუსეთში.** რუსეთში დარჩენილი ქართველობა მთავრობას სთხოვს როგორმე საშუალება აღმოუჩინოს საქართველოში დასაბრუნებლად.

# პარტიაში

საქართველოს რკინის გზების სოციალ ფედერალისტთა „ცენტრალური კოლექტივი“ სთხოვს ამავე გზების პროვინციის პარტიულ ორგანიზაციებს და კერძოთ ყველა პარტიულ ამხანაგებს და თანაგრძნობთ, დაუყონებლივ აცნობონ კოლექტივს თავიანთ ვინაობა და მისამართი. ეს ცნობები საჭიროა დაუყონებლივ მომავალი კონფერენციის და სხვა საკითხების გადასაწყვეტათ კოლექტივის მისამართი: თბილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა, № 1 [illegible] 6 ფხთიაშვილი

საქართველოს რკინის გზების სოციალ ფედერალისტთა „ცენტრალური კოლექტივი“ იწვევს ამ გზებზე მომუშავე პარტიულ ამხანაგებს, არჩევნებისთვის კრებაზე ოთხშაბათს 4 ცნებისთვის საღამოს 7 საათზე პარტიულ ბინაზე—ლორის-მელიქოვის ქუჩა ძველი სემინარიის შენობა. კრების მიზანი: გაგრძელება ხუთშაბათის ე. ი. 29 აგვისტოს სხდომისა. ამხანაგებს ევალებათ დასწრება, რადგან გადასაწყვეტი საკითხები ფრიად საჭირო და დიდ მნიშვნელოვანი არიან.

რედაქტორი: სარედაქციო კოლეგია. გამომც. მუშათა კავშირის გამგეობა